კონსტრუქციული დასკვნა სადემონტაჟო შენობაზე

განიხილება ქ.თბილისში, ქეთევან წამებული ქ. 16-ში განლაგებული საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ეზოში არსებული დამხმარე შენობის დემონტაჟის შესაძლებლობა.

სადემონტაჟო შენობა წარმოადგენს გასულ საუკუნის 80-ანი წლებში აშენებულ ნაგებობას. ეს არის მზიდკედლიანი ერთსართულიანი შენობა, განლაგებული საავიაციო უნივერსიტეტის ეზოში შესასვლელ კარიბჭასთან, რომელშიც იყო განლაგებული დაცვის ოთახი, საცავები და ა.შ. შენობის მზიდი კედლები შესრულებულია ბეტონის ბლოკის წყობით. შენობა დაფუძნებულია მცირე ჩაღრმავების რკ.ბ. მონოლითურ ლენტურ საძირკვლებზე. შენობის გადახურვა წარმოადგენს რკ.ბ. მონოლითურ ფილას. ტიხრების წყობაში გამოყენებულია სატიხრე ბეტონის ბლოკები. შენობის კონსტრუქციები არის დამაკმაყოფილ მდგომარეობაში, მას არ აქვს არავითარი დაზიანება, დეფორმაციები, კედლის წყობის ბზარები. ასე რომ სადემონტაჟო სამუშაოების დროს არ არის საჭირო ამატებითი გასამაგრებელი სამუშაოები.

შენობის სადემონტაჟო სამუშაოები არ წარმოადგენს სირთულეს, მთავარი არის მკაცრად იყოს დაცული სადემონტაჟო სამუშაოების თანმიმდევრობა:

- დაიშალოს ჯერ სახურავის გადახურვის ფილა, შემდეგ
- დაიშალოს მზიდი კედლების და ტიხრების წყობა
- სულ ბოლოს უნდა იყოს დაშლილი ლენტური საძირკვლები.

სადემონტაჟო შენობა განლაგებულია არსებული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სასწავლო კორპუსის გვერდით, ეზოს კუთხეში. გვერდით მდგარ სასწავლო კორპუსამდე 6,0 მეტრა მანძილია. ასეთივე მანძილია უნივერსიტეტის ეზოში განლაგებული მეორე სასწავლო კორპუსამდე. პირველი სასწავლო კორპუსი წარმოადგენს XIX საუკუნეში აშენებულ ორსართულიან მზიდკედლიან შენობას. მეორე სასწავლო კორპუსი ახალი შენობაა. ეს არის ხუთსართულია, კარკასული

შენობა, გადაწყვეტილი რკ.ბ. კონსტრუქციებში. სადემონტაჟო შენობა ამ შენობებთან კონსტრუქციულად საერთოდ არ არის დაკავშირებული.

სადემონტაჟო შენობა განლაგებულია ეზოს კუთხეში, ორი ქუჩის გადაკვეთაზე. ქუჩის მეორე მხარეს - 6,0მ მანძილის დაშორებით განლაგებულია კიდევ ერთი შენობა- ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი, აშენებული გასული საუკუნის 50-ნ წლებში. ის წარმოადგენს მზიდკედლიან კაპიტალურ შენობას, უკანა ფასადზე განლაგებულ მიშენებით. არც ამ შენობასთან სადემონტაჟო შენობა კონსტრუქციულად არ არის დაკავშირებული. ეს საცხოვრებელი სახლი აშენებულია ბევრად ადრე სადემონტაჟო შენობაზე. მასზე არც ამ დამხმარე შენობების აშენებამ არ მოახდინე რაიმე გავლენა, და არც მისი დემონტაჟი მოახდენს.

აქედან გამომდინარე ამ დამხმარე შენობის დემონტაჟის შედეგათ, მის ირგვლივ 6,0 მ მანძილზე განლაგებული მეზობელ შენობებს ზიანი არ მიადგება, რადგანაც ისინი კონსტრუქციულად არიან სრულიად დამოუკიდებლები ერთმანეთისაგან.

კონსტრუქტორი : / ლ. ზატუაშვილი /

პირადი ნომერი 01024050053

მობ.ტელ. 5-77-71-30-84

კონსტრუქციული დასკვნა

განიხილებაქ.თბილისში, ქეთევან წამებულის ქ.16-ში განლაგებული საქართველოს საავიაცო უნივერსიტეტის ეზოში ახალი მშენებარე შენობის ზეგავლენა მომიჯნავედ განლაგებულ შენობებზე.

საპროექტო შენობა წარმოადგენს ორსართულიან ნაგენობას, განლაგებულ უნივერსიტეტის ეზოს კუთხეში, ქეთევან წამებულის და ბოროდინის კვეთაზე.
საპროექტო შენობა 1,60 მეტრით არის დაშორებული უნივერსიტეტის ძირითად კორპუსთან. ქეთევან წამებულის ქუჩაზე ფასადით გამომავალი უნივერსიტეტის ძირითადი კორპუსი წარმოადგენს XIX საუკუნეში აშენებულ ორსართულიან მზიდკედლიან ნაგებობას. მას არ აქვს სარდაფი. შენობის კედლები ეფუძვნებიან ლენტურ საძირკვლებს. საძირკვლების ჩაღრმავება - 1,20მ. საპროექტო შენობის საძირკვლის ფილაც განლაგებულია ამავე სიღრმეზე, აქედან გამომდინარე ახალი შენობის ქვაბული ვერ მიაყენებს ზიანს არსებულ ნაგებობას, და ქვაბულის კედლებს არ სჭირდება გამაგრება. რადგანაც ახალი შენობა განლაგებულია არსებულ შენობასთან ძალიან ახლოს, იმისათვის რომ საპროექტო შენობის დატვირთვებმა არ მოახდინოს ზეგავლენა არსებულ შენობაზე, არ გამოიწვიოს მისი ჯდენა, საჭიროა არსებული შენობის მოსაზღვრე გრუნტი იყო გამაგრებული ინექციური ხიმინჯებით.

ბოროდინის ქუჩის გაყოლებაზე საპროექტო შენობიდან 3,90 მ მანძილზე განლაგებულია უნივერსიტეტის მეორე სასწავლო კორპუსი. ეს არის ხუთსართულია, კარკასული შენობა, გადაწყვეტილი რკ.ბ. კონსტრუქციებში. ამ შენობასაც არ აქვს სარდაფი. შენობა დაფუძნებულია საძირკვლის ფილაზე. აქაც იმისათვის რომ საპროექტო შენობის დატვირთვებმა არ მოახდინოს ზეგავლენა არსებულ შენობაზე,არ გამოიწვიოს მისი ჯდენა, საჭიროა არსებული შენობის მოსაზღვრე გრუნტი იყო გამაგრებული ინექციური ხიმინჯებით.
ბოროდინის ქუჩის მეორე მხარეს საპროექტო შენობიდან 6,70 მეტრში განლაგებულია კიდევ ერთი არსებული შენობა- ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი, აშენებული გასული საუკუნის 50-ნ წლებში. ის წარმოადგენს მზიდკედლიან კაპიტალურ შენობას,

უკანა ფასადზე განლაგებულ მიშენებით. შენობას სარდაფი აქვს. საპროექტო შენობა არ წარმოადგენს საშიშროებას არსებული შენობისათვის მათ შორის მანძილის გამო - გრუნტის შინაგანი ხახუნის კუთხით განპირობებული მანძილი დაცულია. ამ მანძილის გამო აქ არ არის საჭირო ინექციური ხიმინჯების მოწყობა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების განხორციელებით საპროექტო შენობის მომიჯნავე შენობები დაცული იქნებიან დეფორმაციებისგან.

კონსტრუქტორი / ლ.ზატუაშვილი /

პირადი ნომერი 01024050053
მობ.ტელ. 5-77-71-30-84